საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №48
2017 წლის 14 თებერვალი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციის 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22-ე პუნქტი:

„22. 2017 წლის 1 მაისამდე ადგილობრივი თამბაქოს მწარმოებლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, შერჩეული პირი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, ადგილობრივი უფილტრო სიგარეტისთვის გასცეს ამ ინსტრუქციის 79^2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი შეფუთვის ფორმის აქციზური მარკები.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**